www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 25 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3343 (200) | ფასი 50 თეთრი

## ცესკო-ს თავმჯდომარე საუკეთესო არჩევნებს მოელის

თბილისის იუსტიციის სახლში საპრეზიდენტო არჩევნებამდე უწყებათშორისი კომისიის ბოლო სხდომა გაიმართა. შეხვედრას კომისიის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ დასწრებია. **„კომისიის სხდომა არჩევნების პერიოდში შეიძლება, საჭიროებისამებრ კიდევ გაიმართოს,“** - თქვა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ.

ლორთქიფანიძემ კომისიის მუშაობის შეჯამებისას აღნიშნა, რომ კომისიამ ეფექტიანად იმუშავა, რაც, პირველ რიგში, უპრეცედენტოდ მიზნობრივად გაცემულ რეკომენდაციებში გამოიხატა. ამასთან, როგორც გოჩა ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ცალკეულ შემთხვევებში დარღვევებს კომისიის სხდომაზე რეაგირება ყოველთვის მოსდევდა. **„საბოლოო შედეგს ყველა ვხედავთ. საარჩევნო გარემო არსებითად გაუმჯობესდა. კომისია აპირებს განცხადების გაკეთებას, რომლითაც ის არჩევნების პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს მოუწოდებს, ხელი შეუწყოს იმას, რომ არჩევნები თავისუფალ, თანასწორუფლებიან და ტრანსფარენტულ გარემოში ჩატარდეს. ამის მიზანი ის არის, რომ ყველა ამომრჩეველმა თავისი ნების გამოხატვა თავისუფლად შეძლოს,“** - ამბობს გოჩა ლორთქიფანიძე.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის საქმის განხილვა 30 ოქტომბერს გაგრძელდება

ყოფილი პრემიერ-მინისტრის და კახეთის გუბერნატორის ბრალდების საქმეზე პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 30 ოქტომბერს განახლდება.

მომდევნო სასამართლო პროცესზე, გუშინდელის მსგავსად, ბრალდების მხარე რამდენიმე მოწმეს წარმოადგენს. მათ, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეები დაკითხავენ.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე კი ბრალდების მხარემ რვა მოწმე წარმოადგინა, მათგან ექვსი სოციალური აგენტი იყო, ორი კი - ბენეფიციარი.

პროკურორ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, გუშინდელ სხდომაზე ბრალდების მხარემ მოწმის სახით ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის ის ბენეფიციარები წარმოადგინა, რომლებიც აცხადებენ, რომ „ნაციონალების“ სასარგებლოდ აგიტაცია გაწიეს.

ერთ-ერთმა მოწმემ ნანა რუსიამ დაადასტურა, რომ დასაქმების აგენტები ქუთაისში, მის სახლში იმყოფებოდნენ. თუმცა სხდომის დარბაზიდან გამოსულმა რუსიამ განაცხადა:

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ობამას განმარტებები მერკელმაც მოსთხოვა

ივა შილაკაძე



ამერკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს შორის სატელეფონო მოსმენების სკანდალი გრძელდება. პრეზიდენტ ობამას ამჯერად პრეტენზიები წაუყენა და განმარტებები მოსთხოვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. მოვლენების და სკანდალების ეს ჯაჭვი შეუძლებელია, მხოლოდ გაქცეული აგენტის ედუარდ სნოუდენის მიერ მედიისთვის გადაცემულ მასალებზე იყოს დამყარებული და ამისი მინიშნება ნელ-ნელა უკვე გამოჩნდა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## სააკაშვილის კონტრასტი: „მე და ივანიშვილი - სხვადასხვა საქართველო“



*„კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე და პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი სხვადასხვა პლანეტებიდან ვართ. უფრო სწორად, მე ამ პლანეტიდან და ამ ქვეყნიდან ვარ!“ - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რიყის პარკში მდებარე საგამოფენო ცენტრის შენობაში, რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.*

გაგრძელება მე-2 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | 32°C - 21°C |
| ბათუმი | 27°C - 21°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

## გიორგი ნიჟარაძე: „დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოს წამყვან გუნდთან შეგვიძლია ღირსეული პაექრობა“

ნოემბრის მოახლოებულ ტესტ-მატჩებთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდი კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძესთან ვრცელ ინტერვიუს აქვეყნებს, რომელსაც ჩვენ ოდნავ შემოკლებული სახით გთავაზობთ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



## თემები, „ალისა ბერლინში“ და „ტოლერანტობის გემი“



ია მერკვილაძე, ნიუ იორკი, აშშ

ამას წინათ ბრუკლინში გალერეა AHA -ში (Arcilesi & Homberg Fine Art) ფესტივალი სახელწოდებით Dumbo Arts Festival 2013 გაიხსნა. როგორც წესი, ეს გალერეა თავის დაბრაზებს იმ მხატვრებს უთმობს, რომლებიც ტრადიციულ ხელოვნებაზე არსებულ წარმოდგენებს ანგრევენ და მუშაობენ ნაივური ექსპრესიონიზმის, სიურეალური ალეგორიების, რეალიზმისა და პოპ - არტის ჟანრში.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## მალხაზ მურღულიას და რომან შამათავას პატიმრობა შეეფარდათ

2008 წლის 21 მაისს ხურჩაში ტერაქტის მოწყობაში ბრალდებულებს - შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს მალხაზ მურღულიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილ თანამშრომელს რომან შამათავას თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარემ მურღულიას - 3000-ლარიანი, ხოლო შამათავას 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვა.

ადვოკატ გოგა ონიანის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები თავს უდანაშაულოდ ცნობენ და უვადო შიმშილობას აგრძელებენ. გუშინდელ სასამართლო პროცესს ბრალდებულები დაესწრნენ.

პროცესზე პროკურორმა გიორგი კავსაძემ აღნიშნა, რომ ბრალდებულებისთვის აღკვეთის არასაპატიმრო ღონისძიების პირობებში დანაშაულის ჩადენის, ასევე მიმალვისა და მტკიცებულებების მოპოვებაში ხელშეშლის საფრთხე არსებობს.

პროკურატურის აღნიშნულ განცხადებაზე საპასუხოდ დაცვის მხარის ადვოკატებმა განმარტეს, რომ არც ერთი ბრალდებული მიმალვას არ აპირებდა.

**„მალხაზ მურღულია სამეგრელოდან ჩამოიყვანა სამეგრელოს სუს-ის უფროსმა „უზბეკამ“ და როდესაც გავიგეთ, რომ მურღულია დაკითხვაზე მოჰყავდათ, ჩვენ მას ე.წ. მოდულთან ადვოკატი დავახვედრეთ. „უზბეკამ“ მურღულიას უთხრა, რომ იმ დღეს არ დაიკითხებოდა. მურღულია მეორე დღეს თავისი ნებით, ისე, რომ არც ყოფილა დაბარებული, მაინც გამოცხადდა მოდულის შენობასთან ადვოკატთან ერთად, თუმცა მხოლოდ მესამე დღეს დაიკითხა. მას რომ მიმალვა ნდომებოდა, იგი ამ პერიოდს გამოიყენებდა,“** - განმარტეს ადვოკატებმა გოგა ონიანმა და რომეო საჯაიამ.

ადვოკატების განცხადებით, საქმეში ბევრი შეუსაბამობაა. გოგა ონიანის თქმით, ხურჩის აფეთქების საქმეში ხუთი მოქმედი „სუს-ელი“ საკუთარ მონაწილეობას აღიარებს, თუმცა მათ მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

დაცვის მხარეს აღნიშნულ განცხადებას ერთ-ერთი ბრალდებული რომან შამათავა გამოეხმაურა, რომელმაც თქვა, რომ მისთვის გასაკვირია, როდესაც შს სამინისტროს მოქმედი თანამშრომლები მონაწილეობას აღიარებენ, თუმცა თავისუფლები არიან, ხოლო თავად და მალხაზ მურღულია ბრალს არ აღიარებენ, მაგრამ მაინც დააკავეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორივე ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს წარდგენილ ბრალდებას, რომელიც ტერაქტის მოწყობას გულისხმობს.

ადვოკატმა რომეო საჯაიამ „ხურჩის ტერაქტის“ საქმეს „ისტორიული საქმე“ უწოდა და სასამართლოს მიმართა, რომ თუკი აღნიშნულ საქმეზე მისი დაცვის ქვეშ მყოფებს პატიმრობა შეეფარდებოდათ, ეს ქვეყნის სირცხვილი იქნებოდა, რადგან ასეთი განაჩენით სასამართლო გარკვეულწილად იმას აღიარებდა, რომ ხურჩაში მომხდარი აფეთქება არა რუსებმა, არამედ ქართველებმა მოაწყვეს.

რომეო საჯაიას თქმით, მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ არსებობს ვიდეოჩანაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ხურჩას მიმართულებით აფხაზეთის ე.წ. საზღვრიდან, ნაბაკევიდან ისროდნენ.

ადვოკატის განცხადებით, პროცესის არსებითი განხილვის დაწყებისას დადასტურდება, რომ გამოძიებას, რომელიც ერთი კვირის წინ დაიწყო, პოლიტიკური ელფერი აქვს და წინასაარჩევნოდ ხმების მოპოვებას ემსახურება.

გარდა ამისა, პროცესზე ადვოკატებმა მალხაზ მურღულიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინეს. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის ცნობა პროცესუალური დარღვევით არის მოპოვებული.

პროკურატურა დარწმუნებულია, რომ ხურჩის საქმეზე სხვა პირებიც იქნებიან მხილებულნი.

პროკურორ გიორგი კავსაძის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება 2008 წლის 21 მაისს დაიწყო, თუმცა მაშინ გამოძიება, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა.

**„დაკარგულია ნივთმტკიცებები, ასევე ექსპერტიზის დასკვნები. გამოძიება, ფაქტობრივად, ერთი კვირის წინ გაგრძელდა და ამ ერთ კვირაში ის მტკიცებულებები იქნა მოპოვებული, რომლებიც ბრალდებულებს საფუძვლად დაედოთ და მათ, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, პატიმრობა შეეფარდათ,“** - აღნიშნა პროკურორმა.

პროკურორი დაცვის მხარის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც საქმეში არსებული მოწმეები, რომლებიც შს სამინისტროს მოქმედი თანამშრომლები არიან, საკუთარ მონაწილეობაზეც საუბრობენ, თუმცა პასუხისგებაში არ მიუციათ.

**„ასეთი რამ რომ ყოფილიყო, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყებოდა. მათი ჩვენებები მიღებული გვაქვს, ისევე როგორც დაკითხულია არაერთი მოწმე. გამოკითხულები არიან ასევე გალის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები. იმ მტკიცებულებებმა, რაც ამ ეტაპზე შევკრიბეთ, მოგვცა საფუძველი, ბრალი წაგვეყენებინა ამ ორი პირისთვის. გამოძიება გრძელდება და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში აუცილებლად იქნებიან მხილებულნი სხვა პირები. ეს ხუთი მოწმე კი ჩვენებებში იმას ამბობს, რისი შემსწრენიც არიან. ამ ეტაპზე მათი მონაწილეობა არ დასტურდება. ისინი ამ ფაქტების მოწმეები არიან, აქედან გამომდინარე, შეფასდება მათი ქმედებები და თუ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, ისინიც მიეცემიან პასუხისგებაში,“** - განაცხადა პროკურორმა გიორგი კავსაძემ.

ხურჩაში მომხდარი აფეთქების საქმეზე ბრალი რომან შამათავასა და მალხაზ მურღულიას ე.წ. მოდულის შენობაში 23 ოქტომბერს წაუყენეს.

# ცესკო-ს თავმჯდომარე საუკეთესო არჩევნებს მოელის

პირველი გვერდიდან

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, კომისიის ცხელი ხაზი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და არჩევნების პერიოდში კომისიის სამდივნო განსაკუთრებული ინტენსივობით იმოქმედებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ უწყებათშორისი კომისიის საქმიანობის შეფასებისას აღნიშნა, რომ კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გასცა, რომელთა შორის უმთავრესი საკითხები საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების მონაწილეობაზე რეაგირებას ან პრევენციას ეხებოდა. ჟვანიას თქმით, უწყებათშორის კომისიის შემადგენლობაში მაღალი რანგის თანამდებობის პირები არიან, ამიტომ კომისიას მნიშვნელოვანი ბერკეტი გააჩნია იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესი გამჭვირვალე და თანაბარ პირობებში წარიმართოს. თამარ ჟვანიას ინფორმაციით, ბევრ საკითხს უწყებათშორის კომისიის პარალელურად ცესკო განიხილავდა.

როგორც თამარ ჟვანიამ წინასაარჩევნო დარღვევების შესახებ საუბრისას აღნიშნა, დარღვევები იმდენად მასშტაბური არ ყოფილა, რომ ამან საარჩევნო პროცესზე რამე ზეგავლენა მოახდინოს. ამასთან, ჟვანიას შეფასებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამჟამად გაცილებით მშვიდი წინასაარჩევნო გარემოა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამადაც დიდი კონკურენციაა, დაძაბულობა ნაკლებია. **„ველოდები, რომ 27 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდება ყველაზე კარგი არჩევნები, რაც აქამდე ყოფილა,“** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე.

უწყებათშორისი კომისიის მიერ წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაო ეფექტიანად მიაჩნია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელ დირექტორს ნინო ლომჯარიას. იგი კომისიის როლს განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის ფაქტებზე რეაგირების მიმართულებით გამოყოფს. **„კომისიამ ყველა ფაქტზე რეაგირება მოახდინა, რის შედეგადაც კონკრეტული ფაქტების გამოძიება დაიწყო,“** - ამბობს ლომჯარია. თუმცა, მისი აზრით, კომისიამ მუშაობა უნდა გააგრძელოს, რადგან კვლავ განიხილება ფაქტები, რომლებიც ანგარიშსწორებასა და ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებას ეხება. **„უწყებათშორისმა კომისიამ ისე არ უნდა დაასრულოს მუშაობა, რომ ამ ფაქტების შესახებ რეკომენდაციები არ გამოსცეს და შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ არ მოუწოდოს,“** - აღნიშნავს ლომჯარია.

ნონო ლომჯარია წინასაარჩევნო პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს როლსაც შეეხო. „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, ორგანიზაციას, 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, არ დაუფიქსირებია ფაქტი, როდესაც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი პარტიის აქტივისტს დაემუქრა, გაიტაცა, დააშანტაჟა ან ზეწოლა მოახდინა. ლომჯარიას ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაციამ რამდენიმე ფაქტი აღწერა, როდესაც პოლიციის წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიას ესწრებოდნენ, რაც აკრძალულია. თუმცა, მისი შეფასებით, საარჩევნო პროცესებში პოლიციის ჩართულობა შემცირებულია.

უწყებათშორისი კომისიის სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ დასწრებიან. მათ კომისიის ხელმძღვანელის მიმართ უკმაყოფილება არაერთხელ გამოთქვეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# სააკაშვილის კონტრასტი: „მე და ივანიშვილი - სხვადასხვა საქართველო“

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მას და პრემიერ-მინისტრს საერთო არაფერი აქვთ და ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ის და ბიძინა ივანიშვილი ორ სხვადასხვა საქართველოს წარმოადგენენ. თუმცა, გუშინდელი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტმა ფიქრსა და ოცნებაზე საუბრით დაიწყო:

**„ზოგის თავში ფიქრი ხანდახან კვამლად გადაიქცევა; ამ კვამლს ოცნებას ვეძახით. თქვენს მტერს, რაც ეს კვამლი იმას, ვის თავშიაც ასტყდება, ავარდება, საქმეს დაჰმართებს: თვალებს უბრმავებს, ყურებში ბამბას უცობს.**

**ოცნებიანი თავდაპირველად, უნდა ვსთქვათ, ძლიერ ზარმაცია, ამასთანავე მსუნაგი და უეჭველად ღარიბი. დიაღ, ღარიბია და თავდაპირველად გამდიდრებაზედ ოცნებობს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, იმაზე, თუ რა კარგია სიმდიდრე. ამიტომ თავი და ბოლო ოცნებიანის ფიქრისა - ახ, ნეტავი არის.**

**ფიქრიანი და მოსაზრებიანი კაციც ძლიერ უფრთხის ოცნებას, - უფრთხის იმიტომ, რომ ოცნება, ჯერ ერთი, ტვინს ულაყებს კაცსა და მეორე - საქმეს აცდენს,“ - ეს არ არის ჩემი სიტყვები, ეს არის ვაჟა-ფშაველას სიტყვები ოცნების შესახებ,“** - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა: **საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანია, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება.**

მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში შემოდის ახალი კონსტიტუციური სისტემა და მთავრობას კიდევ ვერ გაუაზრებია, რამდენად დაცული იყო ის ბოლო წლინადს.

**„ჯერ კიდევ საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო და მე მათ გადავეცი მთელი უფლებამოსილება. პარლამენტი აქტიურად ვერ ერეოდა მათ საქმიანობაში. როგორც კი ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, პარლამენტი ყოველდღიურად, უმრავლესობაც, უმცირესობაც, ყველა ჯგუფი ჩაერევა მთავრობის საქმიანობაში, რაც აქამდე ადრე არ ყოფილა საქართველოში. წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი ელის წინ ამ მთავრობას, კონსტიტუციური ფარგლები არის ასეთი, და - ნებისმიერ შემდეგ მთავრობას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მათ ძალიან მალე შეცვლის,“** - განაცხადა სააკაშვილმა, -

**აქედან გამომდინარე, ისინი არა მხოლოდ არ ამთავრებენ ბრძოლას, პირიქით, იწყება უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი.**

პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრაზე თავისი და ივანიშვილის გამოსვლებიდან რამდენიმე ციტატაც მოიყვანა და საზოგადოებას მათი შედარებისკენ მოუწოდა.

**„ის ამბობს, რომ ეს შენობა** (რიყეზე ახლად აშენებული საგამოფენო ცენტრი) **და ეს ხიდი** (მშვიდობის ხიდი) **უნდა დაინგრეს. მე ვამბობ, რომ ასაშენებელი ბევრად მეტია;**

**მე ვამბობ, რომ საქართველო სახელმწიფოა, ივანიშვილი - საქართველო პატარა სოფელია ;**

**მე ვამბობ, რომ საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ის ამბობს, რომ საქართველო არ არის მნიშვნელოვანი ;**

**მე ვამბობ, რომ საქართველო რეგიონის ლიდერი უნდა გახდეს, ის ამბობს, რომ საქართველოს არ უნდა გააჩნდეს არანაირი რეგიონული ამბიციები ;**

**მე არაერთხელ მითქვამს, რომ უნდა აშენდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა, ის ამბობს, რომ სააკაშვილის ხუშტურებზე ფუფუნების საგნები აღარ აშენდება;**

**მე მთელი ეს პერიოდი ვამბობდი, რომ უნდა ვისწრაფოდეთ მომავლისკენ, ის ამბობს, რომ უნდა გამოვიძიოთ წარსული;**

**მე ვამბობდი, რომ არასდროს შევალთ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ის ამბობს, რომ განვიხილავთ ევრაზიული კავშირის შექმნის იდეას ;**

**მე ვამბობ, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი საქართველოში თავს უნდა გრძნობდეს, როგორც სამშობლოში, უნდა იშრომონ, ისწავლონ, იბრძოლონ და თუ საჭიროა მოკვდნენ საქართველოსთვის, ის ამბობს: მიკვირს, როდესაც თქვენი ქვეყანა გვერდითაა და თქვენ ცხოვრობთ საქართველოში ;**

**მე ვამბობ, რომ ქართველი ერი ბრძენია, ივანიშვილი ამბობს, რომ ქართველი ერი უმწიფარია ;**

**მე ვამბობ, რომ თბილისი არასდროს ყოფილა ასეთი ლამაზი, მან ამასწინათ თქვა, რომ პლეხანოვი დაანგრიეს ;**

**მე ვამბობ, სიღნაღი, ქუთაისი, მესტია, თელავი, ახალქალაქი, ზუგდიდი, ყვარელი, ანაკლია, ლაზიკა.. ის ამბობს, რომ ყველაფერი ფასადურია ;**

**მე მთელი ეს წლები გავიძახოდი: ბათუმი , ივანიშვილი: რა ბათუმი?!**

**ჩვენი გმირია გიორგი ანწუხელიძე, ივანიშვილმა აპატია ლადო ბედუკაძეს და ლამის ეროვნულ გმირად გამოაცხადა ის;**

**მე მთელი ეს წლები ვამბობდი, რომ რუსეთი ოკუპანტია, ივანიშვილი ამბობს, რომ „საქართველომ გააბრაზა რუსეთი“;**

**მე ვამბობდი, რომ რუსეთი თავს დაგვესხა, ივანიშვილი ამბობს, რომ „ომი საქართველომ დაიწყო“.**

**მე ვამბობდი, რომ ცივილიზებულმა სამყარომ რუსეთი ოკუპანტად აღიარა, ივანიშვილი ამბობს, რომ „უნდა გამოვიძიოთ ომის დაწყებაში სააკაშვილის დანაშაული“;**

**მე ვამბობ, რომ უნდა გავაპროტესტოთ და შევეწინააღმდეგოთ მცოცავ ოკუპაციას, ივანიშვილი კი ამბობს, რომ ეს გაუგებრობაა და რუსეთი სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე ზრუნავს.**

**მე ჩავედი დვანში და ვამბობდი, რომ ყველანი იქ უნდა ჩავიდეთ, ივანიშვილი ამბობს: „არ მცალია, ბევრი სხვა საქმე მაქვს, რა ვქნა ახლა, ჩავიდე და ცრემლი ვაღვარღვარო ხალხთან ერთად?“**

**მე ვამბობ, რომ სერიოზულად უნდა გადავხედოთ საქართველოს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაზე, ივანიშვილი ამბობს, რომ „ჩვენ დავეხმარებით რუსეთს ოლიმპიადის ჩატარებაში“;**

**მე ვამბობ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის ე.წ. გმირის, რომელიც ებრძოდა ჩვენ ქვეყანას, ანთებული ჩირაღდნის ქვეშ ჩვენი მონაწილეობა დასაფიქრებელია, ივანიშვილი ამბობს, რომ „დიპლომატიას ერთ მეჩირაღდნეს არ გადავაყოლებთ“;**

**მე არაერთხელ მითქვამს, რომ მსოფლიომ აღიარა საქართველოს რეფორმები, ივანიშვილი კი ამბობს, რომ სააკაშვილმა მსოფლიო შეცდომაში შეიყვანა;**

**მე ვამბობ, რომ ხალხს მთავრობის მიმართ მოლოდინები უცრუვდება, ივანიშვილი კი ამბობს, რომ ყველა დაპირება გადაჭარბებით არის შესრულებული;**

**მე ვამბობ, რომ საქართველოში დასაქმება არ უნდა ხდებოდეს ნათესაური კავშირებით, ის ამბობს, რომ ნათესავების დასაქმება ქართული მრწამსია და სააკაშვილმა საერთოდ არ იცის, რა არის ოჯახის სიყვარული;**

**ასე რომ, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ორ სხვადასხვა საქართველოს. მე მაქვს პრეტენზია, რომ ის წარმოადგენს წარსულის საქართველოს, მე წარმოვადგენ მომავლის საქართველოს,“** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# გიორგი ვაშაძე ბიგვავას კვლევას არ ენდობა

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ვაშაძემ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია შეაფასა. ვაშაძის თქმით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამო არაერთ ევროპელ პოლიტიკოსს აქვს შენიშვნები. **„ფაქტია, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია დაკავებების პოლიტიკურ შეფასებებს მოიცავს. კიდევ ერთხელ მინდა, მკაფიოდ აღვნიშნო, რომ დოკუმენტში საუბარია წინასწარ პატიმრობის შესახებ, რომელიც არანაირად არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობდეს. მით უმეტეს, რომ ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად გაწელოს ეს პროცესები და რაც შეიძლება დიდი ხანი მოანდომოს საქმის გამოძიებას. შესაბამისად, ეს პრობლემაა, აღქმული მთელი ევროპის მიერ,“** - თქვა გიორგი ვაშაძემ.

ვაშაძემ პრესკონფერენციაზე ასევე შეაფასა „ფსიქოპროექტის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები. **„ჩვენ ამ შედეგებს ვერ ვენდობით, რადგან ყველამ იცის, კვლევის ორგანიზატორი ზურაბ ბიგვავა ვინ არის. მისი კვლევები ცალსახად ტენდენციურია. წინა კვლევებში ზუსტად იმავეს ამბობდა, მაგრამ ქუჩაში გავიდეთ და ყველა მივხდებით, რომ აბსურდთან გვაქვს საქმე. კვლევებს როცა აკეთებ, თუ გინდა, რომ სანდოობა ჰქონდეს, სჯობს, რეალობასთან კავშირში იყო. ყველას კარგად გვესმის, რომ აბსოლუტურად არარეალური და არაადეკვატური მონაცემებია გამოქვეყნებული. გამიკვირდა, რომ ამ კვლევაში დაფიქსირებული არ არის მათ მიერ ნახსენები 65 და 70 პროცენტი,“** - თქვა გიორგი ვაშაძემ.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის დაკვეთით საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს მხარს უჭერს გამოკითხულთა 57,6 პროცენტი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძეს - 11,8 პროცენტი, „დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს კი - 7,1 პროცენტი.

*საკუთარი ინფორმაცია*

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მეპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შლიაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული.** ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის საქმის განხილვა 30 ოქტომბერს გაგრძელდება

პირველი გვერდიდან

**„არ მაქვს არანაირი სურვილი, მით უმეტეს ახლა, და არც განწყობა, ვანო მერაბიშვილის პროცესიდან გამოსულმა იმაზე ვისაუბრო, მოგვისყიდა თუ არა მერაბიშვილმა.“**

ვანო მერაბიშვილმა ერთ-ერთ მოწმეს, სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის ცენტრის უფროსს ჰკითხა, რამდენად კარგი იყო დასაქმების პროგრამა, თუმცა ბრალდების მხარემ აღნიშნული კითხვა გააპროტესტა. მერაბიშვილმა კი განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა პროკურატურას არ აძლევს ხელს.

**„ეს პროგრამა ამ მთავრობის სირცხვილია. ქალბატონო ხათუნა, თქვენ ბოდიშს მოგიხდით იმისთვის, რომ აქ, თქვენ მსგავსად, 4000-მდე ადამიანს ჩემ გამო მოწმის სტატუსით დაკითხავენ. მაგრამ ამ შეცდომას ქართველი ხალხი, მჯერა, გამოასწორებს,“** - განაცხადა მერაბიშვილმა.

ცნობისათვის - დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება.

ამასთან, მერაბიშვილს კვარიათში მდებარე აგარაკის მისაკუთრებაშიც ედება ბრალი.

წინა პროცესზე მოწმეების დაკითხვით ბრალდებისა და დაცვის მხარეები კმაყოფილები იყვნენ. ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი აცხადებდა, რომ ბრალდების მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის უდანაშაულობა დაამტკიცეს. თავად მერაბიშვილი კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით სასამართლო წინა ორ პროცესს არ დასწრებია.

# მინისტრები ღარიბაშვილს წარმატებულობას ულოცავენ

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უწყების წლიური ანგარიში წარმოადგინა.

შსს-ს ინფორმაციით, 2013 წლის ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი რეფორმის ფარგლებში განხორციელებული თუ მიმდინარე ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიც არის სამინისტროს დეპოლიტიზება, სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესება, კიბერდანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა, სამინისტროს მიერ ხარისხიანი მომსახურების გაწევა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ამასთან, დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი შს სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებას ეხება.

**„აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის მასშტაბით 30 პროცენტით გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა, რამაც გაზარდა საპატრულო პოლიციის მომსახურების არეალი და დაიფარა აქამდე აუთვისებელი რეგიონები - 2013 წლის 18 მარტს ფოთში, ხოლო 23 აგვისტოს ზესტაფონში გაიხსნა პოლიციის ახალი შენობები; 2013 წლის ბოლომდე დასრულდება 100-მდე სამშენებლო პროექტი, მათ შორის ჭიათურაში, საჩხერესა და გუდაურში პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა.**

**მიმდინარეობს საპატრულო პოლიციის ორი ახალი შენობის მშენებლობა იმერეთშიც. მიმდინარე წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდება რიგი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა აჭარაში, იმერეთსა და კახეთში. მიმდინარეობს სპეციალური დანიშნულების რაზმების ბაზების რემონტი. უკვე აღდგენილია 6, ხოლო წლის ბოლომდე დაგეგმილია 4 სათვალთვალო კოშკურის აღდგენა,“** - ნათქვამია ანგარიშში.

2013 წლის ანგარიშის თანახმად, სამინისტრომ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე ათეული საცხოვრებელი კონტეინერი შეიძინა და მესაზღვრეებისთვის საგუშაგო ჯიხურების მოწყობა დაიწყო.

**„პირველად გაიმართა ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება. უცხოელი ექსპერტების დახმარებით სხვადასხვა ქვედანაყოფები წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიან. სამინისტროში სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა, მათი ნაწილი სხვადასხვა სამსახურებში დასაქმდა,“** - აცხადებენ სამინისტროში.

ამასთან, ანგარიში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შს სამინისტროს დეპოლიტიზებას და რესტრუქტურიზაციას, რომლის ფარგლებშიც 2012 წლის ნოემბერში გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი), ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები; ასევე, სამინისტროში შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

**„2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. 2013 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული ახალი კანონი „პოლიციის შესახებ“, რომელშიც ზედმიწევნით გაიწერა მთელი რიგი საპოლიციო ღონისძიებები, რასაც წინა კანონი არ ითვალისწინებდა. განხილვის ეტაპზეა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. შსს-ს შეიმუშავა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები. შემუშავებული კანონპროექტების ნაწილი საქართველოს პარლამენტში წარდგენილია განსახილველად, ნაწილი კი მზადდება წარსადგენად,“** - ნათქვამია დოკუმენტში.

გარდა ამისა, ანგარიში აღნიშნულია, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე საპატიმრო დაწესებულებები 16 892-მა პირმა დატოვა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, შსს-ს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის რიცხვმა იკლო და მისი გახსნის მაჩვენებელი გაიზარდა.

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 37.2 პროცენტით გაიზარდა და 57.2 პროცენტით შეადგინა.

**„2012 წლის ნოემბრიდან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით შსს-მ მრავალი ღონისძიება განახორციელა. მათ შორის - 2012 წლის ნოემბრიდან შსს-მ დააკავა ექვსი ე.წ. „კანონიერი ქურდი“ (2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში - ხუთი, 2013 წლის ივნისში - ერთი); 2013 წლის ივლისში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 116.5 კგ ჰეროინი ამოიღო. შსს-ს მიერ მსგავსი მასშტაბის ოპერაციას აქამდე ადგილი არ ჰქონია; 2013 წლის განმავლობაში შსს-ს ტრეფიკინგის მუხლით გამოძიება დაიწყო 15 შემთხვევაზე. ამათგან 4 შემთხვევაში მუხლი გადაკვალიფიცირდა, 4 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო 7-ზე შესაბამის პირებს წაუყენეს ბრალი და საქმე გადაგზავნილია სასამართლოში. 2013 წლის 8 აპრილს არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათების და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღებისთვის დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გამოცხადდა ძებნა. 2013 წლის 20 სექტემბერს ტრეფიკინგის ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაზარალებულს სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდა,“** - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, 2013 წლის ივნისში სამეგრელოში აღმოჩენილ იქნა მიწისქვეშა სამალავები, საიდანაც დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პირთა ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი ამოიღეს.

**„გარდა ამისა, სამალავებში ნაპოვნი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 12 პირი (მათ შორის, 5 მოქმედი პოლიციელი და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი) და მიმდინარეობს გამოძიება; 2013 წლის 7 ივნისს შსს-ში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება ინტერნეტსივრცეში საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი ე.წ. „ჯიჰადის ვიდეორგოლის“ გავრცელებას. ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირი - რუსეთისა და ყირგიზეთის ორმაგი მოქალაქე, რომელზეც გამოცხადებულია ძებნა; 2013 წლის ივნისში შსს-მ ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე დააკავა რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე. ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს ბათუმში შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ერთი და საქართველოს ორი მოქალაქე,“** - განაცხადა შს მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, 2013 წელს, შსს-ს ახლად შექმნილი ანტიკორუფციული სააგენტოს აქტიური ქმედებების შედეგად, გამოვლინდა და აღიკვეთა კორუფციისა და სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა. პასუხისგებაში მიეცა 45 პირი, მათ შორის - სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები, გამგებელი და გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, სკოლის დირექტორი და სხვ.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის დეპოლიტიზებასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმად საპატრულო პოლიციის რებრენდინგსა და საგზაო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა-მოდერნიზაციას მიიჩნევს.

ღარიბაშვილის განმარტებით, აღქმადობისა და ვიზუალური გარჩევადობის გაზრდის მიზნით შეიცვალა ავტომობილების შეფერილობა; ავტომანქანები აღიჭურვა თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით (მობილური და მანქანის რაციები);

**„დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა - შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელები, ბეჯები, კოკარდები; საპატრულო პოლიციის ოფიცრები აღიჭურვნენ სამხრე ვიდეოკამერებით, პრომილეს მზომი ახალი ალკოტესტებითა და ელექტროშოკებით. საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში დამატებით დამონტაჟდა 29 (ავტომაგისტრალებზე - 12, ხოლო თბილისში 17 რადარი) ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემა; საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აღიჭურვა GPS სისტემით ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ზუსტად დაფიქსირების, სახიფათო მონაკვეთების განსაზღვრისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარების მიზნით; საპატრულო პოლიციის დაკვეთით ხდება საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მონტაჟი. თბილისში დამონტაჟდა 3000-მდე საგზაო ნიშანი. საჯარო სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების მიმდებარედ - 750 საგზაო ნიშანი. სავალ ნაწილზე დამონტაჟდა 1800 გრძივი მეტრი ე.წ. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი,“** - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შს მინისტრის ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 60 პროცენტით შემცირდა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა 2013 წლის ანგარიშის წარდგენისას მთავრობის წევრებსა და დიპლომატიურ კორპუსს სოციალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივი აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები გააცნო.

ღარიბაშვილის განმარტებით, მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დანამატი დაუწესდათ, რომელიც 534 თანამშრომელზე გაიცემა;

შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 1 მარტის ბრძანებით, ქორწინების, შვილის შეძენის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სამინისტროს თანამშრომლები 1250-ლარიან დახმარებას იღებენ.

**„ფინანსდება სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (დღემდე აღნიშნულ მიზნებს 1 909 458 ლარი მოხმარდა); 2013 წლის 27 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ე.წ. „ხუდადოვის ტყის“ ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა კვიპაროსის 400 ნერგი დარგეს; საპატრულო პოლიცია მთელი წლის განმავლობაში ჩართულია აქციაში - „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“,** - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შსს-ს ანგარიში საქართველოს მთავრობის წევრებმა შეაფასეს.

ხელისუფლების წევრები შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას წარმატებულად მიიჩნევენ.

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, უდიდესი მიღწევა პოლიციის დეპოლიტიზებაა.

**„ეფექტური ბრძოლა დანაშაულთან, დანაშაულის პრევენცია, მოსახლეობის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვა არის ის, რაც ასე სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და რაც, სამწუხაროდ, წინა წლებში ვერ ხერხდებოდა. გატარებული რეფორმები უმაღლესი შეფასების ღირსია და ვულოცავ ამ დიდ წარმატებას ჩემს ძვირფას კოლეგა ირაკლი ღარიბაშვილს. ვუსურვებ, ყველაფერი ისე გაგრძელებულიყოს, როგორც დაიწყო,“** - განაცხადა ფანჯიკიძემ.

კრიმინალის მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებასა და დანაშაულის გახსნის სტატისტიკის ზრდაზე გაამახვილა ყურადღება ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

**„მოხარული ვარ, რომ საქართველოს ასეთი წარმატებული შინაგან საქმეთა სამინისტრო და მინისტრი ჰყავს,“** - აღნიშნა ხადურმა.

განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის თქმით, **„ანგარიში ძალიან შთამბეჭდავი იყო. აშკარად ჩანს, რომ სისტემაში პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი ფაქტები, როგორიცაა უფრო გამჭვირვალედ ფუნქციონირების დანერგვისკენ სწრაფვა, რაც ნაწილობრივ განხორციელებულია. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ ამდენი პატიმრის გარეთ გამოშვებით კრიმინალმა, პირიქით, იკლო და ამის მონაცემები და კონკრეტული ციფრები არსებობს. ასევე ძალიან შთამბეჭდავი იყო ის მომენტი, რომ დროებითი დაკავების იზოლატორში არანაირი დარღვევა არ ფიქსირდება. ვფიქრობ, ძალიან კარგი ტენდენციებია და სისტემა ეფექტურად მუშაობს,“** - აღნიშნა სანიკიძემ.

შს სამინისტროს ანგარიშს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც შთამბეჭდავი უწოდა.

**„წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც პოლიციის მუშაობას ასახავს, რა თქმა უნდა, ძალიან შთამბეჭდავია და მიხარია ასეთი თვალსაჩინო წარმატებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც გამოვყოფდი, რეალურად შემდგარი, დეპოლიტიზებული პოლიციაა, რაზეც ადრე ალბათ ვერც კი იოცნებებდა ვერავინ. ანუ სხვა დადებით ცვლილებებთან ერთად, ჩემთვის ეს იყო ყველაზე მთავარი,“** - განაცხადა სერგეენკომ.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ღირსეულებს შეუძლიათ ხელი ჩამოართვან
მოწინააღმდეგეს და მიულოცონ გამარჯვება



ურთიერთპატივისცემას
მოაქვს ნდობა

www.cesko.ge

# თემები, „ალისა ბერლინში" და „ტოლერანტობის გემი"

პირველი გვერდიდან

გალერეა გამოირჩევა თავისი ექსპერიმენტული მიდგომით სივრცეების, დროის, სოციალურ - პოლიტიკური მოვლენებისა და ადამიანის ფსიქოლოგიისადმი.

ზაფხულში AHA -ში ორი ძალიან საინტერესო მხატვარი გავიცანი - ევან ვენეგა და ჰიო ჯონგ ნამი, რომელთა ჯგუფური გამოფენა სახელწოდებაში სიცოცხლის ხაზები“ იყო გაერთიანებული.



ევან ვენეგა ნიუ იორკელი დიზაინერი და მხატვარია, რომელმაც ხატვა ნიუ იორკის ინდუსტრიულ ობიექტებით, პეიზაჟებით დაიწყო. თავის სამხატვრო ასოციაციებში იგი მრეწველობას“ აბსტრაქტულ ფორმებად და ფერებად გადააქცევს. ვენეგა პულსირებადი ქალაქური ცხოვრებით ასოცირებს, მისი ხაზები მუსიკალურ ნოტებად და მანიპულირებად ურბანულ ფიგურებად“ გადაიქცევა. ისევე როგორც მხატვრის პერსონალური გამოცდილება, რომელიც ქალიშვილის დაბადებას უკავშირდება და რომელიც ფერებად და ფიგურებად ტრანსფორმირდება. როგორც თავად ამბობს, ეს თარგმანები“ მის ცხოვრებას აბალანსებს. როცა ევანი პატარა იყო, უფროსმა ძმამ მას დაათვალიერებინა წიგნი, რომელშიც ნიუ იორკელი მხატვრების გრაფიტი იყო წარმოდგენილი. სწორედ მაშინდელი ხაზები, ფერები და დეტალები აღმოჩნდა მხატვრის წარმოსახვის ტილოზე გადატანის პროცესის ნაწილი. ევან ვენეგას ნახატები ერთგვარი რებუსებია, რომლებიც ადამიანის ანატომიაში, ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებში, ჭურჭელში, არქიტექტურაში იხლართება, უცნაურ ფორმებს იღებს და ქალაქური ცხოვრების არაორგანიზებულ“, გადღაბნილ ინტერპრეტაციად გადაიქცევა...

კორეელი ჰიო ჯიონგ ნამიმ სამხატვრო განათლება ნიუ იორკში მიიღო. მისი ნამუშევრები - ნაქარგები თუ ფერწერა, როგორც თავად ამბობს, შესუნთქვისა და ამოსუნთქვის რიტმში იქმნება, როგორც დადებითისა და უარყოფითის, ზემოსა და ქვემოს მოძრაობის ციკლი. მხატვარს თავისი მონოლოგები აქვს - ნახატები თმით. როგორც წესი, ეს მისი თმებია, მხატვრისთვის კი ამას ძალიან ღრმა დატვირთვა აქვს. ჯერ ეს ერთიც, რომ თხელი შავი თმა აზიელი ქალის სიმბოლოა და თან მრავალი საუკუნის წინ ითვლებოდა, რომ კორეის სული თმებშია ჩაბუდებული და ამიტომაც ქალებსაც და მამაკაცებსაც თმის შეჭრა ეკრძალებოდათ. ჰიო ჯიონგ ნამი თავის დაცვენილ თმებს კრებს, აერთებს და მერე, როგორც ძაფს ნემსის ყუნწში უყრის და ტილოზე იწყებს ხატვას, ქარგვას, ძაფის“ მიმაგრებას ყოველგვარი წინასწარი მონახაზის/თარგის გარეშე. ის უბრალოდ იწყებს თავისი თმით ხატვას ისე, როგორადაც და რა რიტმშიც სუნთქავს, თითქოს თავის დღიურს წერს ანდა ტილოზე თავისი ემოციები, სიხარული-განბილება, ცნობიერი და ქვეცნობიერი გადააქვს. და ასე უნებურად იქმნებიან ვარსკვლავები, ყვავილები, ფოთლები, მზის სხივების ტალღები, სწორი, მონოტონური ხაზები, მისი ცხოვრების ერთგვარი წრფეები თუ ისტორიები. ნახატებზე თმები ჰიოს კარდიოგრამაა და ადვილად შეიძლება მიხვდე როდის უხარია და როდისაა სევდიანად. მან თავისი უეცარი ავადმყოფობაც კი თმებით გამოხატა... ის განცდაც, როცა თავიდან ვერ გაიგეს რა დაემართა და ერთი პერიოდი უდიაგნოზოდაც იყო. უბრალოდ ერთ დილას საწოლიდან ვერ ადგა. იგი ამბობს, რომ სიცოცხლის სიმართლეს“ ეძებს და პოულობს კიდეც - სწორედ ცხოვრების მომენტების დაჭერაში“ და იმედი აქვს, რომ ადამიანები საკუთარ სიმართლეს სწორედ მის ნახატებში იპოვნიან ისევე, როგორც მან იპოვა თავისი მიკროსამყაროში რაღაც დიდი.

ალისა ბერლინში“, რომელიც AHA-ში გამართული ფესტივალის ფარგლებში აჩვენეს ამერიკელი რეჟიორის, მწერლის, ინტერაქტიური ტექნოლოგიური დიზაინერის რუთ სერგელის ინსტალაციაა, რომელიც დღევანდელ გლობალურ ქაოსში ჰალუცინოგენურ მოგზაურობას გვაწყებინებს. ეკრანზე საჭადრაკო დაფასა და აგურის თაღქვეშ ლუის კეროლის ალისასა და ალისა საოცრებათა ქვეყანში“ მოქმედი გმირები ჩნდებიან და მიამიტური საბავშვო მოგონებების ამოტივტივებასთან ერთად მნახველს თავადაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ალისას ამოძრობაში. ჩვენს ცეკვას თუ გაშეშებას ალისა სარკისებრ იმეორებს და ამგვარად IXX საუკუნე XXI -ში მდოვრედ გადადის. მერე უცებ სიურეალიზმი ქრება და ვგრძნობთ, რომ ვდაგავართ ბერლინის ანდა ნიუ იორკის მიწაზე, პარკეტზე, ქვეფენილზე თუ კედლებთან. რუთ სერგელი ცნობილია თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტით 9.11 - ის ხმები“, რომელიც ტერაქტს ცოცხლად გადარჩენილ 550 - ზე მეტი ადამიანის ხმის ჩანაწერია. ამ ადამიანების მონათხრობი თუ რეპლიკა სიცოცხლისა და სიკვდილის“ გამოცდილების თანაზომიერი კოლექციაა.

მხატავრი ნოლა რომანო თავადა თავისი ნახატების მოდელი, სადაც იგი, ჩემი აზრით, თანამედროვე ანიმაციური ფილმების გმირს ძალიან ჰგავს. თავის ნამუშევრებში იგი ადამიანის ცხოვრების ოთხ სეზონს გასდევს: დაბადების, ზრდის, მოხუცებულობისა და დედამიწაში დაბრუნების“ დროს. მის ნახატებში ნოლა ხან ეროტიულია, ხან მიამიტი, ხან ტყუპისცალი ჰყავს, ხან ნისლშია, ხან დაცვენილ ასოებში, წყალში, რვაფეხებთან, თაგვებთან, თეთრ დათვებთან, მტრედებთან, ცხოველების კუდებით, ჭუჭყში, სიცივეში, მარტოობაში, შიშში, ვნებაში. როგორც თავად ამბობს, ეს ნახატები ძალიან პერსონალურია და ამავე დროს - უნივერსალური.

უნივერსალურ თემას - შემწყნარებლობას ეძღვნება ცნობილი რუსი მხატვრების ილია და ემილია კაბაკოვების პროექტი ტოლერანტობის გემი“, რომელიც ნიუ იორკში მდინარე ისტ რივერის კონცხზე დგას და რიმელსაც ძველეგვიპტური საიალქნო გემის იერი აქვს. ილია კობაკოვი 1980 - იანებში მოსკოვური კონცეპტუალიზმის ყველაზე ცნობილი მხატვარი, არტდისიდენტი და ამავე დროს დასავლეთში ყველაზე ცნობილი და კარგად გაყიდვადი ხელოვანი, ტერმინის ტოტალური ინსტალაციის“ დამმკვიდრებელია, რომლის ნამუშევრები მისი სამშობლოს გარეთ საბჭოთა ეპოქის მხატვრებთაგან ყველაზე ცნობადია და გამოფენილია მსოფლიოს ყველაზე სახელოვან მუზეუმებში. ილია და ემილია კაბაკოვები 1988 წლიდან ნიუ იორკის შტატში ცხოვრობენ. 8 წლის წინ მათ ეგვიპტის ქალაქ სივაში მნახველებს წარუდგინეს გემი, რომლის იალქანი ამ ქვეყნის ბავშვების ნახატებით შეიკერა. გემი ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი, უფრო - დიდი ნავი. გემების (აშენდა რამდენიმე გემი) არასაზღვაო, არამედ სახმელეთო მოგზაურობა დაიწყო ეგვიპტედან და შემდეგ მოიცვა იტალია, შვეიცარია, გაერთიანებული საემიროები, კუბა, აშშ და რუსეთი. ამ პროექტისთვის კაბაკოვებმა „კარტიერის პრემიაც“ მიიღეს, როგორც წლის საუკეთესო იდეის ავტორებმა. იდეა კი ემილია კაბაკოვას ეკუთვნის, რომლის შთაგონება 11 სექტემბრის ტრაგედიას უკავშირდება. ტოლერანტობის გემის“ მისია გახლდათ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ეთნიკურობის, კულტურებისა თუ სოციალარი ფენის ბავშვებს შემწყნარებლობის მათეული ინტერპრეტაცია გამოეხატათ. აღმოჩნდა, რომ კუბელი ბავშვები სულ სხვაგვარად აღიქვამენ ტოლერანტობას, ვიდრე - შვეიცარიელები. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ტოლერანტობასთან დაკავშირებული ასოციაციების დახატვამდე ბავშვებს შემწყნარებლობის რაობაზე ფსიქოლოგები და მასწავლებლები ელაპარაკებოდნენ და ე.წ. ტოლერანტობის მასტერკლასებს უტარებდნენ. მერე კი ისინი 200 - მდე ნახატს ქმნიან, რომელიც იალქნის ტილოდ გადრაიქმნება. მართალი გითხრათ, ამ გემზე თვალის შევლებამ სევდიანი და არც ისე პოლიტკორექტული აზრები ამიშალა. 18 მეტრიანი გემი, რომელიც ნიუ იორკში ჩამოსვლამდე“ (გემი ნიუ იოკრშივე დამზადდა) მოსკოვში გახლდათ, რომლის წყალზე ჩაშვებაც მოსკოვის ქალაქის დღესასწაულს დაემთხვა“, რომელსაც ასევე 80 წლის კაბაკოვის დაბადების დღეც დაემთხვა“, უფრო ერთა სიყვარულის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მოდურ ტრენდს ჰგავდა, ვიდრე რეალურად გააზრებულ განაცხადს. თუნდაც იმიტომ, რომ მოსკოვში ტოლერანტობის ზეიმი“ კაბაკოვებისთვის ზურაბ წერეთლისგან მიღებული ორი ჯილდოს ხელოვნებისადმი მსახურებისთვის“ გადაცემისა და კრემლის ჩინოვნიკების მოლოცვების ფონზე მიმდინარეობდა. პირადად ჩემთვის კი ეს ყველაფერი იმ უტოპიურ იმედს“ ჰგავს, სოვეტსკოე ბრატსტვო“ თავისი სამშვიდობო ვოიაჟში ოდესმე შემწყნარებლობის იალქნად თუ მედროშედ რომ გადაიქცევა.



## „პაკისტანმა ამერიკის საჰაერო იერიშების შესახებ წინასწარ იცოდა"

„ვაშინგტონ პოსტი" ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დოკუმენტებზე დაყრდნობით წერს, რომ ისლამაბადმა ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებული იერიშების შესახებ წინასწარ იცოდა და ფარულად მხარსაც უჭერდა.

თუმცა, საჯაროდ პაკისტანის ხელისუფლება მსგავს იერიშებს ყოველთვის აკრიტიკებდა და ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად აფასებდა. ცოტა ხნის წინ პაკისტანის ახალარჩეული პრემიერი ნავაზ შარიფი თეთრ სახლში პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა, სადაც მსგავსი იერიშების შეჩერების აუცილებლობაზეც ისაუბრა. „ვაშინგტონ პოსტის" მიერ მოპოვებულ დოკუმენტებში 2007 წლიდან 2011 წლამდე ის რაიონებია აღნიშნული, სადაც საჰაერო იერიშები ხდებოდა. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ იერიშების უმრავლესობა პაკისტანის მთავრობასთან შეთანხმებით ხორციელდებოდა.

## ირანის ბირთვული პრობლემის შესახებ ისრაელის და ამერიკის ხედა განსხავავდება

„როიტერის" ცნობით, ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ერთმანეთს რომში შეხვდნენ, სადაც, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკების გარდა, ირანის ბირთვულ პროგრამაზეც ისაუბრეს.

ბოლო პერიოდში ირანსა და ამერიკას შორის ურთიერთობის შედარებით გაუმჯობესებაზე საუბრობენ, რის დამასატურებლადაც ობამასა და ირანის ახალარჩეულ პრეზიდენტ ჰასან როუჰანის სატელეფონო საუბარი მოჰყავთ - 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამერიკისა და ირანის პრეზიდენტები ტელეფონით ესაუბრნენ ერთმანეთს.

კერისთან შეხვედრის დროს ნეთანიაჰუმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და განაცხადა, რომ: „ირანს ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს, რაც ნიშნავს, რომ მას არც ურანის გასამდიდრებლად საჭირო ცენტრიფუგები და არც პლუტონიუმის ქარხანა უნდა გააჩნდეს, რომელიც მხოლოდ ბირთვული იარაღის შესაქმნელად გამოყენება," - აღნიშნა ნეთანიაჰუმ, რომელმაც ირანის ბირთვულ პროგრამას რეგიონის უსაფრთხოებისთვის უმთავრესი პრობლემა უწოდა.

ჯონ კერის თქმით კი: „აუცილებელია, თეირანმა შეძლოს იმის ჩვენება, რომ მისი ბირთვული პროგრამა იმავე სტანდარტებს აკმაყოფილებს, რომლებსაც სხვა ქვეყნები იცავენ. ამ გზით უნდა დადასტურდეს, რომ ირანის ქვეყნის ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება." ამერიკა აცხადებს, რომ ირანზე სამხედრო დარტყმის შესაძლებლობა მთლიანად არ გამოურიცხავს, თუმცა ამერიკელი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, რომ სანამ იმ ნაბიჯს გადადგამენ, რომელმაც შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მანამდე ამ საკითხის მოსაგვარებლად ყველა სხვა შესაძლო ვარიანტს ცდიან.

## „ბი-ბი-სი": 50 ბრიტანელს „აშ-შაბაბთან" აქვს კავშირი

„ბი-ბი-სი"-მ ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში დიდი ბრიტანეთის 50 მოქალაქის ვინაობა დაადგინა, რომლებსაც სომალიში მოქმედ ისლამისტურ დაჯგუფება „ალ შაბაბთან" აქვთ კავშირი. „აშ-შაბაბი", რომელსაც „ალ ქაიდასთან" მჭიდრო კავშირები აქვს, სომალიში შარიათის კანონების დამკვიდრებისთვის იბრძვის. სექტემბერში სწორედ ამ ჯგუფმა მოაწყო ნაირობის უმსხვილეს სავაჭრო კომპლექსზე თავდასხმა, რასაც 67 ადამიანი ემსხვერპლა. „ბი-ბი-სი"-მ დიდი ბრიტანეთის 47 მოქალაქის ვინაობის დადგენა მოახერხა, თუმცა ეს იმ ბრიტანელების სრული სია არ არის, რომლებსაც ისლამისტურ დაჯგუფებასთან აქვთ კავშირი და მზად არიან, მათ რიგებში იბრძოლონ. უსაფრთხოების სამსახურები დარწმუნებულები არიან, რომ აქედან 32 ადამიანი სომალიში იმის გამო გაემგზავრა, რომ ჯიჰადში მიიღონ მონაწილეობა. როგორც ბრიტანეთის სასამართლოს დოკუმენტებიდან დგინდება, ამ მიზნით სომალიში წასვლას ბრიტანეთის კიდევ შვიდი მოქალაქე შეეცადა, თუმცა ისინი დროულად შეაჩერეს.

## ევროპარლამენტმა მთიან ყარაბაღზე რეზოლუცია მიიღო

ევროპარლამენტმა პლენარულ სესიაზე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციის პროექტი მიიღო. ევროპარლამენტი აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამის მონაწილე ერთი ქვეყნის მიერ ამ პროგრამის მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფუნდამენტური პრინციპებისა და მიზნების დარღვევას წარმოადგენს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ოთხ რეზოლუციაზე დაყრდნობით უნდა მოგვარდეს. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ სააგენტო „ტრენდი" ავრცელებს. ამ რეზოლუციაში პირველად არის აღნიშნული, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე დაყრდნობით უნდა მოგვარდეს, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიიდან შეიარაღებული ფორმირებების უპირობო, სრულ და დაუყოვნებლივ გაყვანას ითვალისწინებს.

სომხეთი თავს ოკუპანტად არ მიიჩნევს და მთიან ყარაბაღს «დამოუკიდებელ სახელმწიფოდ» აღიარებს.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# ობამას განმარტებები მერკელმაც მოსთხოვა

პირველი გვერდიდან

უბრალოდ, სნოუდენის მიერ გამოაშკარავებულმა მასშტაბურმა ჯაშუშურმა სქემებმა რიგ სახელმწიფოებს უბიძგა, სატელეკომუნიკაციო სფეროში საკუთარი უსაფრთხოების მდგომარეობა გადაემოწმებინათ და შედეგი სავალალო მიიღეს. დაზვერვას ყველა სახელმწიფო აწარმოებს. შესაბამისად, ყოველთვის მოსალოდნელია, რომ უსმენდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოს დიპლომატებსა და ჩინოვნიკებს. «ჩვეულებრივი მოვლენაა" სამრეწველო შპიონაჟიც, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსმენების ასეთ მასშტაბებს მოკავშირე სახელმწიფოსგან მაინც არ ელოდნენ. ეს მასშტაბი ეხება როგორც რაოდენობას, ასევე სახელმწიფო მოღვაწეთა დონეს. ლაპარაკია ქვეყნის პირველი პირების საუბრების მოსმენასა და ელექტრონულ ფოსტაში შეღწევაზე ბრაზილიის, მექსიკისა და უკვე გერმანიის შემთხვევაშიც. შეერთებული შტატების ადმინისტრაციას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება მოკავშირეების ნდობის დასაბრუნებლად ამერიკის კონტინენტზეც და ევროპაშიც.

საფრანგეთთან «საქმის გარჩევის" სამდღიანი ეპოპეის შემდეგ გერმანიის ჯერიც დადგა. ოთხშაბათს, საღამოს, აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას კანცლერმა ანგელა მერკელმა დაურეკა და აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ მისი მობილური ტელეფონის სავარაუდო მოსმენის შესახებ ახსნა-განმარტება მოსთხოვა. გერმანიის ხელისუფლება არ ახმაურებს ინფორმაციის წყაროს, თუ საიდან გაუჩნდათ მათ ეს ეჭვი. გერმანული პრესის, კერძოდ კი «შპიგელის» თანახმად, სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა გამოძიება ჩაატარეს. საუბრის შინაარსი, ფაქტობრივად, საუბრის დამთავრებისთანავე გამოაქვეყნა გერმანიის მხარემ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მერკელის ეჭვები საკმაოდ საფუძვლიანია და ის აშშ-ს პრეზიდენტის პასუხმაც არ დააკმაყოფილა. ცხადია, სატელეფონო საუბრის შესახებ ინფორმაცია თეთრი სახლის პრესსამსახურმაც გამოაქვეყნა.

გერმანიის უკმაყოფილებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკვე მერკელისა და ობამას სატელეფონო საუბრის შემდეგ, ხუთშაბათს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ ამერიკის ელჩი ჯონ ემერსონი დაიბარა და ოფიციალურად მოსთხოვა ახსნა-განმარტება «შპიგელში" გამოქვეყნებულ იმ ცნობაზე, რომლის თანახმადაც, აშშ-ს სპეცსამსახურები კანცლერის მობილურ ტელეფონს უსმენდნენ.

გერმანიის მთავრობის პრესმდივან შტეფან ზაიბერტის განცხადებით, «კანცლერი მსგავს ილეთებს აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს". მერკელმა ობამას მიანიშნა, რომ ასეთი პრაქტიკა მეგობრებსა და მოკავშირებს შორის ნდობას სერიოზულად უთხრის ძირს და მოუწოდა, ნათელი მოჰფინოს ამერიკის მიერ გერმანიაში განხორციელებული თვალთვალის პროგრამების მასშტაბებს. მერკელმა ობამასგან კატეგორიულად მოითხოვა, რომ მსგავსი საქმიანობა დაუყოვნებლივ შეწყდეს.

თეთრი სახლის პრესსამსახურის ინფორმაციის თანახმად, ბარაკ ობამამ ანგელა მერკელი დაარწმუნა, რომ აშშ-ს სპეცსამსახურები მის ტელეფონს არ უსმენენ. პრესმდივან ჯეი კარნის განცხადებით, შეერთებული შტატები არ უსმენს და არც მომავალში მოუსმენს გერმანიის კანცლერის საუბრებს. კარნიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თეთრი სახლი ამოწმებს ინფორმაციას მონაცემების შეკრების ამერიკული პროგრამის შესახებ, რომელიც მათ გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა მოკავშირეებისგან მიიღეს და კარგად ესმის მათი შეშფოთების მიზეზი. თუმცა კარნის მკაფიო პასუხი არ გაუცია კითხვაზე, უსმენდნენ თუ არა მერკელის ტელეფონს წარსულში. როგორც ჩანს, სატელეფონო საუბარში მკაფიოდ ეს არც ობამას უთქვამს.

გერმანიის მთავრობის ოფიციალური განცხადებაც გამოქვეყნდა, რომელშიც მერკელის კანცელარიამ თეთრი სახლისგან მოითხოვა «დაუყოვნებელი და ყოვლისმომცველი ახსნა-განმარტება" იმ საქმიანობაზე, რასაც ბერლინში «ურთიერთნდობის პოტენციური სერიოზული დარღვევა" უწოდეს. «ახლო მეგობრებსა და პარტნიორებს შორის, როგორებიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები, სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებების არანაირი თვალთვალი არ უნდა ხდებოდეს.»

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ზოგადად სატელეფონო მოსმენები ანგელა მერკელისთვის მტკივნეული თემაა, რადგან ის აღმოსავლეთ გერმანიაში გაიზარდა, სადაც სპეცსამსახური «შტაზი», ფაქტობრივად, ყველა მოქალაქეს ტოტალურად უსმენდა. როგორც ჩანს, მერკელმა (ისევე როგორც წინა დღეებში ფრანსუა ოლანდმა) ამერიკის მიერ გერმანიაში განხორციელებული თვალთვალის შესახებ ბოლო პერიოდში საკმაოდ საფუძვლიანი მტკიცებულებები მიიღო, რადგან საჭიროდ მიიჩნია, ობამასთვის პირადად დაერეკა. უდავოა, რომ სახელმწიფოს მეთაურებს საკმაოდ უსიამოვნო საუბარი ჰქონდათ.

საქმე ის არის, რომ ობამა და მერკელი ერთმანეთს ივნისშიც შეხვდნენ, როდესაც სნოუდენის პირველი მასალები ახალი გამოქვეყნებული იყო. ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ ევროპის სახელმწიფოებშიც და სხვაგანაც აშშ-ს სპეცსამსახურების ტოტალურ ჯაშუშობაზე ინფორმაცია მაშინ უკვე არსებობდა. კერძოდ, სნოუდენის ინფორმაციაზე დაყრდნობით მედია წერდა, რომ აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტო გერმანიაში 500 მილიონამდე ზარს და ინტერნეტ-შეტყობინებას «იჭერს». მაშინაც ობამამ მერკელს განუცხადა, რომ ამერიკა გერმანიის მოქალაქეების თვალთვალს არ აწარმოებს. არც მერკელს და არც ამერიკის სხვა ევროპელ მოკავშირეებს მაშინ სკანდალი არ აუტეხავთ. ზაფხულში ამისთვის მერკელის მთავრობა სერიოზული წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ხალხი და მედია მერკელს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველეს და შინაგან საქმეთა მინისტრ ჰანს-პეტერ ფრიდრიხს უმოქმედობისთვის დასცინოდა. ბლოგებში და სოციალურ ქსელებში პოპულარული იყო კოლაჟი, სადაც ეს პირები პირზე, თვალებსა და ყურებზე ხელებაფარებულები არიან.

დღეს კი ამ ყველაფერმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ობამასთან საუბარში მერკელმა პასუხი მოითხოვა იმ კითხვებზე, რომლებიც ფედერალურმა მთავრობამ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დასვა.

ჯეი კარნის მტკიცებით, ობამამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ამერიკამ სპეცსამსახურების მიერ ინფორმაციის შეგროვების მეთოდების გადახედვა დაიწყო, რათა დაცული იყოს ბალანსი ეროვნულ უსაფრთხოებასა და ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. კარნის სიტყვებით, ობამა და მერკელი შეთანხმდნენ, რომ «სადაზვერვო უწყებებს შორის თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საერთო უსაფრთხოება». მარტივ ენაზე ეს ნიშნავს, რომ აშშ, ისევე როგორც საფრანგეთის შემთხვევაში, თვალთვალის სრულად შეწყვეტის პირობას არ იძლევა. ალბთ, უბრალოდ, მასშტაბები შემცირდება და ამერიკელები ევროპელებს მეტ ოპერაციებს შეუთანხმებენ.

არ მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფრის მიზეზი მხოლოდ «შპიგელის» და «მონდის» ახალი პუბლიკაციებია. სავარაუდოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა თავისი გამოძიებები ჩაატარეს და რაღაცებში დარწმუნდნენ.

ეს სკანდალები ევროკავშირის სამიტსაც აფუჭებს, რომელიც გუშინ დაიწყო. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი მოითხოვს, რომ მოსმენების საკითხი დღის წესრიგში შეიტანონ. ამას გარდა, ამ სამიტზე ევროპის ქვეყნების და ევროზონის ეკონომიკის აღდგენის მიმდინარეობა უნდა განიხილონ. ამ მხრივ გარკვეული წინსვლა შეინიშნება, რაც ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. განიხილავენ ასევე ციფრული ტექნოლოგიების და იმიგრაციის პრობლემებს.



აშშ-ს პრეზიდენტი ერთი კვირაა, თავის მართლების რეჟიმშია.

# სირიის სამხრეთი „ჩააბნელეს", დამასკოსთან მძიმე ბრძოლებია

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

დამასკოს მახლობლად საარტილერიო დაბომბვის შედეგად გაზსადენი აფეთქდა, რომელიც სირიის სამხრეთ ნაწილში მდებარე დიდ ელექტროსადგურს ამარაგებდა. შესაბამისად, დედაქალაქ დამასკოსა და ქვეყნის სამხრეთ ნაწილში სხვა პროვინციებს ელექტროენერგიის მიწოდება მთლიანად შეუწყდა. უფრო კონკრეტულად, გუშინ ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა დამასკოს, ტარტუსს, ლატაკიას, ჰომსს, ტელ-კალაჰეს და სხვა უფრო მცირე დასახლებულ პუნქტებს.

ხელისუფლება ამ თავდასხმას ამბოხებულებს აბრალებს. ხელისუფლების მტკიცებით, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და დენს 48 საათის განმავლობაში ეტაპობრივად ყველა პროვინციას ჩაურთავენ. დამასკოს ცენტრში ელექტროენერგიის მიწოდება გუშინვე აღდგა.

პარალელურად, დამასკოს საერთაშორისო აეროპორტთან გუშინ მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა. მსხვილი შეირაღებული დაჯგუფება დედაქალაქში შესვლას ცდილობდა. სამთავრობო ძალები ტერორისტების წინააღმდეგ საჰაერო იერიშებს ახორციელებდნენ.

სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვირვებელთა საბჭოს მონაცემებით, რომელიც ბრიტანეთშია ბაზირებული, ამბოხებულების შეტევის მთავარი სამიზნე პატარა ქალაქი გჰასულა იყო, რომელიც დამასკოს აეროპორტიდან 2 კილომეტრზე მდებარეობს. მათივე ვარაუდით, ეს - გაზსადენის აფეთქება და შეტევა - შეიძლებოდა, ფართომასშტაბიანი და კარგად დაგეგმილი ოპერაცია ყოფილიყო.

დამასკოს დასავლეთ ნაწილში ამბოხებულები თავს დაესხნენ არმიის ბლოკპოსტს. იქ დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. სამხედროებს შორის ბევრია დაღუპულიც და დაჭრილიც.

ხუთშაბათს გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ექსპერტები სირიის ხელისუფლებისგან ქიმიური არსენალის განადგურების მთლიან გეგმას ელოდებოდნენ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ოფიციალური დამასკო მათთან სრულფასოვნად თანამშრომლობს და ყველა პირობას უქმნის.

ასადის ინტერვიუ, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ტელეარხ «ალ-მაიადინს» მისცა, ნაწილობრივ წინასწარმეტყველური თუ «პროვოკაციული» აღმოჩნდა. ამ ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა ივარაუდა, რომ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი შეიძლება, ლიბანზეც გადავიდეს. ამის შემდეგ, უკვე მეოთხე დღეა, სირიასთან ახლოს მდებარე ლიბანურ პორტ ტრიპოლიში არ წყდება შეტაკებები ასადის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ამ ქალაქში კომპაქტურად, სხვადასხვა უბნებში ცხოვრობენ სუნიტებიც და შიიტი-ალავიტებიც. ასადის ინტერვიუს შემდეგ ალავიტებმა ჯერ აღფრთოვანებისგან ჰაერში სროლა დაიწყეს. მათ სუნიტური რაიონიდან «უპასუხეს». მოკლულია სამი კაცი, დაჭრილია - 27. ქალაქის ხელისუფლებამ სიფრთხილის გამო მაღაზიების, სკოლებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობა შეწყვიტა. ტრიპოლიში უფრო მცირე მასშტაბის მსგავსი ინციდენტები ადრეც იყო.

# ბორჯღალოსნები ტესტებით ბრუნდებიან

გიგა გურასაშვილი

*ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების შინ თამაშის ჟღერი დადგა - ნოემბრის ტესტ-მატჩები მოდის. მოდის აშშ-ის და კანადის ნაკრებები, ოკეანეთიდან კი ხელდახელ მოთამაშე სარაგბო სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი - სამოა გვეწვევა. კანადა და სამოა თბილისში ითამაშებენ, აშშ-ის ნაკრებს კი რუსთავში მოუწევს ბურთის აგდება.*



რთული გამოცდის წინ ტესტ-მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა. მართალია, ნუხს, რომ რამდენიმე მოთამაშე ტრავმის გამო დააკლდება (დავით ზირაქაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი, გიორგი ჟღენტი, იური ნატრიაშვილი, ვახტანგ მაისურაძე), მაგრამ არჩევანით მაინც კმაყოფილია: „კარგად დაბალანსებულ გუნდს მოვუყარეთ თავი, რომელიც გამოცდილი მორაგბეებით არის დაკომპლექტებული. ამ შემადგენლობით უკვე ორი წელია ვთამაშობთ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო რამდენიმე მოთამაშის გამოძახება ვერ მოხერხდა, მაგრამ მათ ნაცვლად სხვა მორაგბეების დაყენების საშუალება გვექნება. ნოემბერში სამი ურთულესი მატჩი გველის, რადგან ძალიან კარგ გუნდებთან გვიწევს თამაში. კარგად მოვემზადებით და თავდაჯერებულად ჩავატარებთ სამივე შეხვედრას“ .

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:**

**პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგაშვილი („რასინგ მეტრო“, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), რევაზ ბელქანია („ლელო“, თბილისი), დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“, საფრანგეთი);

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი);

**მესამე ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი („ლიონი“, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი („მასი“, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი), დიმიტრი ბასილაია („ედინბურგი“, შოტლანდია);

**9-10:** გიორგი ბეგაძე („ყოჩები“, ბოლნისი), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“, რუსთავი“), მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი“, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი);

**უკანა ხაზი:** მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), დავით კაჭარავა („ენისეი“, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე („ბერიგო“, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი („არმაზი“, თბილისი, კაპ.), თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი („ლელო“ თბილისი), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“ თბილისი).

# გიორგი ნიჟარაძე: „დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოს წამყვან გუნდთან შეგვიძლია ღირსეული პაექრობა„

პირველი გვერდიდან

**- რას ფიქრობთ ჩვენი მეტოქე გუნდების შესახებ?**

- ნოემბრის ტესტებისთვის უდავოდ ძალიან ძლიერი მეტოქეები გვერგო. კანადაზე ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ. ყველამ კარგად იცის, რომ კანადა სწრაფი ტემპით მიდის წინ. როგორც იცით, IRB-ს ეგიდით ტარდება წყნარი ოკეანის ქვეყნების თასის გათამაშება, სადაც ჩვენს მეტოქეებს - კანადასა და აშშ-ს - საშუალება აქვთ ეპაექრონ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა სამოა, იაპონია, ფიჯი და ტონგა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი კანადური რაგბის განვითარებას. ზოგადად, კანადის რაგბის კავშირი ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული და პროგრესირებადი კავშირია. ის ბევრს აკეთებს ქვეყანაში რაგბის განვითარებისთვის და ჩვენგან უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. აშშ-ის ნაკრები, კანადასთან შედარებით, შეიძლება უფრო სუსტ გუნდად ჩაითვალოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ არ არის ძლიერი და პროგრესირებადი მეტოქე. რაც შეეხება სამოას, აქ კომენტარი ზედმეტია - სამოა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომელიც ულამაზეს რაგბის თამაშობს. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო რეიტინგში სამოა მეშვიდე ადგილს იკავებს.

**- რას ნიშნავს ჩვენთვის ნოემბრის ტესტ-მატჩები?**

- ნოემბრის ტესტ-მატჩები დიდი გამოცდა იქნება ჩვენთვის. ამ მატჩებმა უნდა გვაჩვენოს, თუ რეალურად სად ვართ, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ და რაზე უნდა ვიმუშაოთ. რაც მთავარია, საჭიროა დავინახოთ, თუ რა გზით უნდა განვაგრძოთ სვლა იმისთვის, რომ 2014 წლის თებერვალ-მარტში ჩვენი მთავარი ამოცანა გადავწყვიტოთ - ევროპის ერთა თასი მოვიგოთ და 2015 წლის მსოფლიო თასზე მოვხვდეთ C ჯგუფში.

ეს იქნება გამოცდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელების, მოთამაშეებისა და, საერთოდ, რაგბის კავშირისთვის. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ ამ უდიდეს პასუხისმგებლობას და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული რაგბის გულშემატკივარმა გაიხაროს. ჩვენი ამოცანაა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების დამარცხება. რაც შეეხება სამოას, მასთან უნდა ვითამაშოთ ღირსეულად და ლაღად, რათა ყველას დავუმტკიცოთ, რომ მსოფლიოს წამყვან გუნდთან ღირსეული პაექრობა შეგვიძლია.

ამ მატჩების შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული რაგბის განვითარებისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ორი წლის განმავლობაში ბევრი ექსპერიმენტი ჩავატარეთ. მწვრთნელები ეცადნენ, რომ რაღაც ახალი შემოეტანათ ჩვენს სათამაშო სტილში. დადგა დრო, ყველამ ერთად მოვითხოვოთ შედეგი - როგორც გულშემატკივარმა, ისე რაგბის კავშირმა. ბიჭები მზად არიან, მწვრთნელები სერიოზულად არიან განწყობილნი.

სამწუხაროდ, წელს „ეპიდემია“ გვაქვს ტრავმების სახით. ამ მატჩებზე ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარებიან დავით ზირაქაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი, იური ნატრიაშვილი, გიორგი ჟღენტი და ვახტანგ მაისურაძე. რაც შეეხება ჟღენტს, სერიოზული ტრავმის მიუხედავად, კლუბში მას მაინც ათამაშებენ. 8 ნოემბერს ის მკურნალობის სპეციალურ კურსს გაივლის, რის შემდეგაც ორი-სამი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

**- მოსამზადებელი პერიოდი და სათამაშო არენა...**

- როგორც ყოველთვის, გვქონდა პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ სად ვითამაშებთ. ორივე დიდი სპორტული არენა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები თამაშობს, ნოემბერში დატვირთული იქნება ძირითადად საერთაშორისო საფეხბურთო მატჩებით. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და «დინამოს» ხელმძღვანელობას, რომლებმაც, თავიანთი დაძაბული საერთაშორისო კალენდრის მიუხედავად, გამონახეს საშუალება, მოეცათ ჩვენთვის ამ მატჩების ჩატარების შესაძლებლობა. ასე რომ, 9 ნოემბერს საქართველო-კანადის მატჩი გაიმართება «დინამო არენაზე» (16:30 საათზე), ხოლო 23 ნოემბერს საქართველოსა და სამოას მატჩი ჩატარდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე (16:30 საათზე). რაც შეეხება 16 ნოემბერს აშშ-სთან გასამართ მატჩს, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ეს შეხვედრა ჩატარებულიყო ქუთაისში, მასზე უარის თქმამ მოგვიწია - რაგბის საერთაშორისო საბჭომ ქუთაისში მატჩის გამართვაზე უარი გვითხრა იმ მიზეზით, რომ ისედაც მოკლე ერთ-ერთი ჩასათვლელი მოედნის უკან, «ვისოლის» სტადიონზე, არის ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც დიდ პრობლემას უქმნის მოთამაშეთა უსაფრთხოებას. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ქუთაისში ჩვენი სარაგბო ბაზის დასრულებას, სადაც ცენტრალური მოედანი 6 ათასამდე გულშემატკივარს დაიტევს.

ასე რომ, გადაწყდა ეს მატჩი ჩატარდება 16 ნოემბერს (14:00 საათზე) რუსთავის ახლად აშენებულ სტადიონზე, რომელიც ყველანაირ საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

**- ბილეთები და საორგანიზაციო საკითხები...**

- პირველად ჩვენი რაგბის ისტორიაში გულშემატკივარს შევთავაზებთ ორიგინალურ ბილეთს, რომელიც ერთდროულად ბილეთიც იქნება და საინფორმაციო ბუკლეტიც. პირველ გვერდი იქნება ბილეთი, დამახასიათებელი კონტროლის ნიშნითა და ინფორმაციით. მეორე და მესამე გვერდები დაეთმობა გუნდების შემადგენლობებს, ურთიერთშეხვედრების ბალანსსა და ისტორიას. ბოლო გვერდზე დაიბეჭდება გულშემატკივრის ქცევის კოდექსი, ინფორმაცია იმ ძირითადი წესების შესახებ, რომელიც უნდა დაიცვას რაგბის გულშემატკივარმა.

სტადიონის სალაროების გარდა, იგეგმება ბილეთების გარკვეული რაოდენობა გაიყიდოს ვებგვერდ Hotsales.ge-ს მეშვეობით.

კანადისა და სამოას მატჩებზე ბილეთის ფასი იქნება 3 და 1 ლარი, ხოლო რუსთავში, აშშ-ის მატჩზე, ბილეთი ეღირება 3 ლარი. ბილეთები გაიყიდება როგორც თბილისში, ისე თამაშის დღეს რუსთავში.

იმის გამო, რომ თავდაპირველად სამივე მატჩი დანიშნული იყო დღის ორ საათზე (რაც იმ გულშემატკივრებს, რომლებიც შაბათს მუშაობენ, დიდ უხერხულობას უქმნიდა), თხოვნით მივმართეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, რათა კანადისა და სამოას მატჩების ტელერეპორტაჟის დრო გადაეტანათ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ, დიდი სირთულეების მიუხედავად, გაითვალისწინა გულშემატკივრების თხოვნა და კანადისა და სამოას მატჩების ტელერეპორტაჟი დაიწყება 16:30 საათზე, რისთვისაც საქართველოს რაგბის კავშირი მადლობას უხდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას. რაც შეეხება აშშ-ის მატჩს, ის დაიწყება 14:00 საათზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ რუსთავის სტადიონზე არ არის ტელერეპორტაჟისთვის საჭირო განათება.

ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ გულშემატკივარი მოვიზიდოთ სტადიონზე, რადგან საქართველოს ნაკრებს ძალიან სჭირდება მხარდაჭერა. გავიხსენოთ 2010 წლის საქართველოსა და ამერიკის შეხვედრა «დინამოზე», როდესაც დამატებითი დროში ჩვენმა ბიჭებმა გამარჯვების ლელო დაუდეს სტუმრებს და ამაში მათ ნამდვილად დაეხმარა ის განწყობა, რომელიც გულშემატკივრებმა შექმნეს სტადიონზე.

ჩვენ შევცვალეთ ჩვეული სარეკლამო კამპანია. დავნერგეთ ბევრი სიახლე. ინტერნეტ სივრცეში, ვიდეო პორტალ Myvideo.ge-ზე განვათავსეთ ნოემბრის ტესტ-მატჩების პრომო ბანერი. ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს. დავდივართ უმაღლეს სასწავლებლებში, ვხვდებით სტუდენტებს, ვესაუბრებით მათ რაგბიზე. გვინდა, რომ ყოველი ასეთი შეხვედრით უნივერსიტეტებში გავაჩინოთ ჩვენი გულშემატკივრების კერები. პარალელურად, რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფის წევრები, ეროვნული ნაკრების მოთამაშეებთან ერთად, სკოლებში მართავენ შეხვედრებს. ვფიქრობ, ღონისძიებები საინტერესოა სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, სტუდენტებს და სკოლის მოსწავლეებს ვთავაზობთ ერთლარიან ბილეთებს.

მთელი საქართველოს მასშტაბით საფესტივალო ასაკის მორაგბეებს ჩამოვიყვანთ და უფასოდ დავასწრებთ კანადისა და სამოას თამაშებს. რაც შეეხება მატჩს აშშ-ის წინააღმდეგ, იქ რუსთაველ მოსწავლეებს დავუთმობთ 400 მაყურებელზე გათვლილ ტრიბუნას უფასოდ, რათა ბავშვები ეზიარონ რაგბის და უგულშემატკივრონ საქართველოს ნაკრებს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
2013
elite
MODEL LOOK
GEORGIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
PROM
OUTdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
McCANN TBILISI
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
EGO
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink